ზუგდიდის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი

ზუგდიდის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძარი ერთ-ერთი მთავარი მართლმადიდებლური ქრისტიანული ტაძარი საქართველოში და ქალაქ ზუგდიდის დომინანტი. ტაძარი მონასტრული კომპლექსის მთვარი ნაგებობდა ცენტრია. ჯერ მხოლოდ კომპლექსის ნაწილია აშენებული. თვითონ კომპლექსს უჭირას 46000მ ^{2}. თაძრის მშენებლობა დაიწყო 2009 წლის მარტში არქიტექტორ არჩილ მინდიაშვლის პროექტით.

ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი დარბაზულია და გეგმა წარმოადგეს წაგრძელებულ ჯვარს. ჯვრის მკლავები გარედან სწორკუთხაა, შიგნით კი - ნახევარწრილი აფსიდებითაა დასრულებული. ტაძარში შესვლა ხდება კიბის საშუალებით. მთავარი შემოსასვლელი არის დასავლეთის მხრიდან, შესვლა აგრეთვე ხდება სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. აღმოსავლეთის მხარეს საკურთხეველში , სადაც განლაგებულია 13 ნიშა, რომელთაგანაც ცენტრალური ყველაზე დიდია და მის წინ დგას მეტროპოლიტის დასაჯდომი ტახტი, აქვეა სამკვეთლო და სადიაკვნე, აგრეთვე აქ არის 3 სარკმელი, რომელთაგანაც ცენტრალური დიდია.

დასავლეთ ფასადში 5 სარკმელია განთავსებული, სამხრეთსა და ჩრდილოეთ ფასადში 3-3. სარკმლები საფეხურებრივადაა განლაგებული, ზომებიც სხვადასხვაა, მაგრამ უკიდურეს გვერდებში მდებარე სარკმლები ძალზე პატარაა, რაც თვითნებურად არის გაკეთებული მიტროპოლიტის მიერ და ხდება არქიტექტორის გეგმიდან გადახვევა, არა მხოლოდ აქ, არამედ რელიეფებთან, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებში სარკმლების გაუქმებით, სადაც უკვე იყო გამოჭრილი სარკმლები თავისი ჩარჩოებით, მაგრამ აგრეთვე ამოშენებული მიტროპოლიტის მიერ, რომელმაც განაცხადა რომ არ არის საჭირო დიდი სინათლე ტაძარში. ამის გარდა პროექტიდან გადახვევა არა მხოლოდ ფასადზე არამედ შიგნით ტაძარშიც ხდება. ტაძრის შიგნით ცენტრალური შემოსასვლელის ორივე მხარეს 2 სართულიანი პატრონიკია აშენებული, რომელიც ფორმით სწორკუთხაა, მაგრამ პატრონიკი თაღოვოვანია, რაც არის გადახვევა არქიტექტირის გეგმიდან.

თითოეული სარკმელი ჩასმულია რელიეფურად მოჩუქურთმებულ საპირეებში და არც ერთი ჩუქურთმა თუ ორნამენტი არ მეორდება ყველა განსხვავებულია. გარე ფასადები რელიეფებითა და ცრუ თაღებითაა შემკული. თითოეული ორნამნეტი ასოციაციას იწვევს ხახულის, ოშკის, პარხალის, ტბეთის, ბანას, გელათის, სპეთის, სამთავისი, ნიკორწმინდის ეკლესიების რელიეფებთან და სარკმლების საპირეებთან. კანკელი დროებითია, მასზე დახათული რელიეფებით, რომელიც შემდეგ იქნება თვისი ორნამენტებით ქვაში.

ტაძრის შიდა სივრცეს ქმნის ჯვრის 4 მკლავი და ცენტრში აღმართული გუმბათი, რომლის ყელი ეყრდნობა საკურთხევალსა და პატრონიკების თაღებს, გადასვლა ხდება აფრებით. გუმბათის ყელში წრიულად არის განთავსებული 12 სარკმელი, რომელიც განათების წყაროს წარმოადგენს, შესასვლელებისა და საკურთხეველში ჩასმულ სარკმლებთნ ერთად. მთელი დარბაზი არის თაღოვანი გადახურვით. ტაძრის მოპირკეთება ხდება ბოლნისის ტუფით, რომელიც მოთეთრო მონაცრისფრო ფერისაა, მაგრამ ფოტოებში ასოციაციას იწვევს ბაც მოყვითალო ფერთან.

ეს ტაძრი გამოჩეულია არა მხოლოდ რელიეფებით, არამედ სიდიდითაც. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტაძარია სამეგრელოში სიმაღლით 53.4 მ. სიგრძე - 45მ , სიგანე - 47მ. სამების მსგავსად ტაძრის ქვემოთ არის კიდევ ერთი სართული, რომლის სიმაღლე 5 მეტრია, სადაც არქიტექტორის ჩანაფიქრით იქნება ბიბლიოთეკა ან კულტურული ცენტრი. არქიტექტორის ცნობით ტაძრის მშენებლობა დასრულდება 3-4 წელიწადში. მიუხედავად იმისა რომ ტაძარი მშენებარეა წირვა-ლოცვა ყოველთვის აღევლინება და აღინიშნება ყველა მნიშვნლოვანი დღესასწაული, მაგამ ყველაზე განსაკუთრებული მაინც ვლაქერნობის დღესასწაულია, რომელიც 15 ივლისს აღინიშნება. ამ დღეს ღვთისმშობლის კვართს გამოასვენებენ დადიანების სასახლე-მუზეუმიდან და მთელი დღის განმავლობაში ის ტაძარშია დაბრძანებული. ამ დღეს კვართის სანახავად და მოსალოცად მორწმუნეები ჩამოდიან მთელი საქართველოდან.